



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი  
(საშვანნი)  
№11 (471)  
(5781)  
2020

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה



### მინისტრის საროშოშანო ძღვენი

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქ-ნმა თეა ახვლედიანმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველოს დამოკიდებულება ებრაული თემისადმი — რომ ჰა შანის წინა დღეებში ებრაული თემის ბევრმა წევრმა მიიღო მინისტრის მოსალოცი წერილი და ძღვენი:

„გულითადად გილოცავთ რომ ჰა შანას, ახალი წლის დღესასწაულს. ეს წელი ყოფილიყო წარმატებისა და წინსვლის საწინდარი თვითოეული თქვენგანისათვის და ჩვენი სამშობლოსათვის“ ასე იწყებოდა მინისტრის წერილი და მთავრდებოდა დალოცვით: „ვუერთდები ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს და გისურვებთ მშვიდობას, სიკეთესა და კეთილდღეობას“

მოლოცვას თან ახლდა ერთობ იმპოზანტურად გაფორმებული ძღვენი: ეგზოტიკური ქვეყნებიდან ჩამოტანილი ხილის ჩირები, ჩურჩხელები, შოკოლადები და სხვა.

მადლობას გიხდით მოლოცვისათვის და თქვენც სიკეთესა და კეთილდღეობას გისურვებთ, ქალბატონო მინისტრო!

### მნიშვნელოვანი შეთანხმება

30 სექტემბერს, იერუსალიმში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრ გაბი აშკენაზსა და ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ლაშა ჟვანიას მიერ ხელი მოეწერა ორმხრივ შეთანხმება ისრაელში საქართველოს მოქალაქეების დამხმარე პერსონალად დროებითი დასაქმების შესახებ.

1 ოქტომბერს, თბილისში. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ და ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, რან გიდორმა, ხელი მოაწერეს აღნიშნული შეთანხმების იმპლემენტაციის პროტოკოლს

ორივე დოკუმენტი შექმნილია საქართველოდან ასობით დამხმარე მუშაკის შერჩევისა და დროებითი დასაქმების ხელშესაწყობად ისრაელის ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში, სადაც ქრონიკული, ან კომპლექსური დაავადებებისა და/ან შეზღუდული (ფიზიკურად ან კოგნიტიურად) შესაძლებლობების მქონე პირებს უვლიან.

დიპლომატიის, საჯარო მოხელეების, იურისტებისა და ექსპერტების გუნდი ორივე ქვეყნის სამთავრობო უწყებებიდან ბოლო თვეების განმავლობაში, დაუღალავად მუშაობდა, რათა შერჩევის, ტრენინგისა და დასაქმების სისტემა ყოფილიყო სამართლიანი, ეფექტური და ქმედითი. მთლიანი პროცესის განხორციელება, მონიტორინგი და ზედამხედველობა ინარჩუნებს შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიერ, ორივე მხარის იურისდიქციასთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელსაც ისრაელის ხელისუფლებამ მიმართა უცხოელი დამხმარე პერსონალის ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დასაქმების მიზნით. ეს ფაქტი ასახავს როგორც ღრმა მეგობრულ კავშირს ორ ერს, ასევე შესანიშნავ საქმიან ურთიერთობას ჩვენი ქვეყნების მთავრობებსა და საელჩოებს შორის.

ისრაელის საელჩოს სურს განსაკუთრებით აღნიშნოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის, თამილა ბარკალაიასა და ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, თეა ახვლედიანის (წინა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში) მიერ შეტანილი პირადი წვლილი.

**რან გიდორის კომენტარი:** აღნიშნული შეთანხმების იდეა გაჩნდა 2020 წლის მარტში. ისრაელში პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში განსაკუთრებულად საყურადღებო გახდა იმ მსცოვანი მოსახლეობისა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა მდგომარეობა, რომელთაც არ ჰყავთ ახლობლები, ვინც მათზე იზრუნებდა — სახლებსა თუ შესაბამის დაწესებულებებში; ან უბრალოდ შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ოჯახის წევრები ვერ ახერხებდნენ მათთან საკმარისი სიხშირით მისვლას.

ამის ფონზე ისრაელის სახელმწიფომ გადაწყვიტა მოეწვია შესაბამისი მუშაკები საზღვარგარეთიდან და დაიწყო მოლაპარაკება რამდენიმე ქვეყანასთან.

ლაშა ჟვანიას ძალისხმევით, ისრაელში და რან გიდორის ძალისხმევით საქართველოში, მრავალთვიანი, შრომატევადი პროცესის შედეგად, რომელშიც ჩართული იყვნენ ორივე ქვეყნის სამთავრობო ორგანოები, იურისტები და შესაბამისი დაწესებულებების სპეციალი-

სტები, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელთანაც ეს შეთანხმება გაფორმდა.

შედეგად ორი დოკუმენტი: 1) ზოგადი ხელშეკრულება/შეთანხმება დროებითი დასაქმების შესახებ, 2) პროტოკოლი, რომელშიც დეტალურად არის განვლილი ის მექანიზმები, რომლის შესაბამისად მოხდება დამხმარე პერსონალის ლეგალურად და უსაფრთხოდ დასაქმება ისრაელში. სულ გათვალისწინებულია 500 ქართველი მოქალაქის დასაქმება. თუ შემდგომში გაჩნდება მოთხოვნა, რომ მეტი მოქალაქე მივიწვიოთ ისრაელში - გაფორმდება ახალი, შესაბამისი პროტოკოლი.

მსურველთა რეგისტრაციისა და შერჩევის პროცესს კურირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ეს არის პირველი ნაბიჯი და იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც შეიქმნება ლეგალური დასაქმების მიმართულებით თანამშრომლობის გაგრძელებისა და გაღრმავების შესაძლებლობები.



### ყოველ სამშაბათს

22:00 საათზე თბილისის დროით

21:00 მოსკოვის დროით

21:00 ისრაელის დროით

„პირველი ავოტ“

h.אביחם מדינאיחפשטאן חיטאע

რ. ოვადია იოსეფის კომენტარებით



# „ჩემი ცხოვრება ლექსად დავწერე“

(გიორგი ხუხაშვილის დაბადებიდან 95 წლისთავის გამო)



მისი პირველი ლექსი - „შოთა გამცემლიძე“ - გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1945 წელს.

ავტორია ლექსებისა და პოემების კრებულებისა: „მშვიდობის სიმღერა“, „მომღერალი ბიჭი“, „მთების სიმღერა“, „ლურჯი ფანჯრები“, „ფიქრები ხმამაღლა“, „ბიბლიური მოტივები“, „სონეტები“.

გიორგი ხუხაშვილის კალამს ეკუთვნის უაღრესად საინტერესო ლიტერატურული კრიტიკული წერილები და ნარკვევები ქართული მწერლობისა და თეატრის საკითხებზე. ზოგი მათგანი გამოსულია ცალკე კრებულებად; ასე, მაგალითად, „მწერალი და ცხოვრება“ (1956 წ.), „მწერალი და დრო“ (1962 წ.), „ლიტერატურული წერილები“ (1970 წ.), „დრო და თანამედროვენი“ (1977 წ.), „დროის კვალდაკვალ“ (1984 წ.).

მას საყოველთაო აღიარება მოუპოვა დრამატურგიულმა ნაწარმოებებმა. ქართველი მკითხველი დღესაც სიამოვნებით და აღტაცებით კითხულობს გიორგი ხუხაშვილის პიესებს: „ზღვის შვილები“, „დღიურები ჩემი ქალაქიდან“, „ცხოვრება კაცისა“, „მოსამართლე“, „დაბრუნება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, „ამბავი წუთისოფლისა, ომისა და ჯარისკაც ჭიპილიასი“, „მთანინდის მთვარე“, „მიდიოდნენ ჯარისკაცები უღელტეხილზე“, „დედა, მამა და შვილები“, „დაბრუნება ნიკო ფიროსმანისა“ და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ინსცენირებები: ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“. ავტორია კინოსცენარებისა, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისათვის - „ზღვის შვილები“, „მთვარის მოტაცება“, „მოლოდინი“, „ნოდარ დუმბაძე“, „გრიგოლ აბაშიძე“ და ა. შ.

გიორგი ხუხაშვილმა ღრმა კვალი დატოვა საზოგადოებრივ ასპარეზზეც. წლების მანძილზე მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილების გამგედ, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროს რედაქტორად, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის უფროს

რედაქტორად, კინოსტუდიის დრამატურგთა გაერთიანების წევრად, თეატრალური საზოგადოების დრამატურგიისა და სოციოლოგიის კაბინეტის გამგედ. იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილე, აღმანახ „კრიტიკის“ რედაქციის წევრი და ჟურნალ „ცისკრის“ ლიტმუშაკი.

თავის ფიქრებსა და განცდებს ფუნჯსაც მიანდობდა - საინტერესო მხატვარი იყო. მის ფერწერულ ტილოებში ამოიკითხავთ მხატვრის, როგორც მოქალაქის, პიროვნულ თვისებებს, კეთილშობილურ ბუნებას, უშუალობასა და სისადავეს.

იყო ღირსების ორდენოსანი, სახელმწიფო და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატი.

გიორგი ხუხაშვილის მოქალაქეობრივი ცხოვრების წესი ქვეყნისა და ხალხის უანგარო სამსახური იყო. ამ ადამიანში კონცენტრირებული გახლდათ ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელია ინტელიგენტისთვის.

თანამედროვეთაგან შემოქმედებითი მრავალფეროვნება გამოარჩევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება თამამად და გადაჭრით ითქვას, რომ გიორგი ხუხაშვილი გამორჩეული ხელწერის მქონე პოეტი გახლდათ. აკი წერდა კიდევ გივი შაჰნაზარი: „შენმა მაძიებელმა შემოქმედმა სულმა მოსვენება არ იცის. მრავალი ჟანრის მიმდევარი, რაღაც ღირსეულს ყოველთვის ამკვიდრებ. პოეზია... აი, ის, რითაც იწყები შენ, როგორც შემოქმედი... „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ იმიტომ წარუშმდეგარე შენს შემოქმედებას, რომ შენს ყოველ ჟანრულად განსხვავებულ ნაწარმოებებს სწორედ მისი, პოეზიის მაღლი სცხია“.

შემოქმედების მარადისობაზე მომღერალს, სწამდა, რომ „პოეზიის ქვეყანას პოეზია გადაარჩენს“. ამ რწმენით შთაგონებული წერდა სიკეთეზე, სიმართლეზე, მშვენიერებასა და ადგილის დედის განუზომელ სიყვარულზე. გ. ხუხაშვილის პოეტური შემოქმედება საქართველოსა და ყოველივე ქართულისადმი უსაზღვრო სიყვარულით და მონივნებითაა გაჯერებული.

**„მე არ მჭირდება შენთან ფიც-ვერცხლი, გაჭრილ თითიდან სისხლის გაღება, შენს უბერებელ მზეს ვეფიცხები, შენი დალოცვა გზებზე დამყვება. მეც დავრგე ვაზი ფესვებმაგარი,**

**ვლენე ხორბალი მბრუნავ კალოზე, ბეჭზე ძლიერი მხარი დამკარი და შენს მელექსე კაცად დამლოცე.**

**იქ გამითეთრდა შენთან თმა-წვერი, სვეტიცხოველი სადაც მოჭრილა,**

**ჩემი ცხოვრება ლექსად დავწერე და შენს კალთაზე დავდე მორჩილად“**,-

წერდა პოეტი ლექსში - „საქართველო“.

გიორგი ხუხაშვილის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის თემას:

**„ათიათასჯერ მარცხით და ძლევით,**

**საუკუნეებს თითქოს მოვძახი, შვილს განდევნილი ადამ და ევას ჩალით შეკრული მქონდა ოჯახი. და უდაბნოში ბევრი ვიარე და ტყვეობაშიც ვცვიოთ ბორკილი,**

**ტანჯვით გამოვცდი შუამდინარეთს და შევეფარე მცხეთას ცოლ-შვილით“.**

ეს თემატიკა ასახავს ჰპოვებს პოეტის შემდეგ ლექსებში: „საქართველო“, „ტიბერიასთან“, „იერუსალიმი“, „რუსთაველის ფრესკა ჯვრის მონასტერში“, „მასადა“, „მკვლევარი“, „ღმერთმა გაცხონოს, წინაპარო...“, „ამ ქვებზე ისხდნენ...“ და სხვ.

გურამ ბათიაშვილი გონებს: „ერთმა რუსმა თეატრალმა გ. ხუხაშვილს 60 წლისთავე მარადი სტუდენტი, მის ერთ კოლეგას კი მარადი ჯარისკაცი უწოდა. ამაზე უკეთესად ძნელად თუ დაახასიათებს ვინმე გიგლას, რადგან მარად სტუდენტში იგი იმ აზრს აქცევდა, რომ გიგლა მეოცნებე და გატაცების უწარის მქონე კაცი იყო 60 წლისაც კი!“

15 წელია, რაც ცოდვამადლიან წუთისოფელს გამორდა მარადი სტუდენტი, პატრიოტი, ჭეშმარიტი მოქალაქე, არაორდინალური, უკომპრომისო, ერუდირებული პიროვნება. 15 წელია დუმს მისი ჩანგი. თუმცა დარჩა უმდიდრესი შემოქმედება, რომელიც ამშვენებს ქართულ მწერლობას და რომელიც მისი ავტორის უკვდავების უტყუარი დასტურია.

**იგორ კაკელია,**  
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

## გ ი გ ლ ა

**ნიგინიდან „სახეაზიდა სიტუაციაში“**

ჩვენს ძვირფასი გიორგი ხუხაშვილი, ჩინებული კრიტიკოსი და პოეტი, შინიდან აღარ გამოდის. დროდადრო მივდივარ ხოლმე. როგორც კი მივალ, საყვედურებით ამავსებს: არ მოდიხარ, არ მეკარებიო. ამასწინათ ვუთხარი: მწერალთან კი არა, ხშირად საყვარელთანაც ვეღარ დადის-მეთქი კაცი. ბევრი იცინა. ალბათ, სიჭაბუკისა, თუ მონიფულუობის წლების ცელქობანი გაახსენდა. ასეთი გემრიელი მოსაუბრე სხვა თითქმის არ ვიცი, რა ზუსტად დაახასიათა ქობულეთის სემინარზე ნოდარ გურაბანიძემ — ქადაგი ტირეზია მოვიდაო („ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი). მოუღელელად შეუძლია ისაუბროს პოეზიაზე, თეატრზე. არა მხოლოდ მოუღელელად, უტყუარი ალლოთი და გემოვნებით. ვიბასეთ. ხან მთისა ვთქვით, ხან — ბარისა. ნ. ბ-ზე კი ისეთი რამ მიაბო, გავოცდი.

თურმე ნ. ბ. ერთ ცნობილ მთარგმნელზე ამბობს:



— ეგ როგორი კაცია იცით? წარმოიდგინეთ, რაღაც შეკრებილობაზე ვილაცა გატაცებით მღერის, მაგიდასთან ოთხი-ხუთი კაცი ზის, მაგიდაზე კი ერთი ვაშლი დევს. ეს ჩვენი მთარგმნელი კი მაგიდის ქვეშ არის შემძვრალი, რომ მომღერალს ტაში არ დაუკრას. სიმღერა დამთავრდა და ყველა ტაშს უკრავს, ის ამ დროს მაგიდის ქვეშიდან გამობტება, ვაშლს აიტაცებს, ისევ მაგიდის ქვეშ შეძვრება და სიცილით იფხრინება.

გიგლამ გემრიელი ხითხითით მიაბო ნ. ბ-ს ამაზე, მერე თავისი კომენტარი მოაყოლა:

— მაგიდის ქვეშ რატომ არის შემძვრალი არ გაინტერესებს? იმიტომ რომ ფრთხილი კაცია და ყოველი შემთხვევისათვის არის იქ, ზუსტად უნდა შეარჩიოს დრო, როდის გამოხტეს. დროს თითქმის შეუმცდარად, ზუსტად არჩევს. ვაშლს რომ მიიტაცებს, მერეც მაგიდის ქვეშ შეძვრება. მანამ სანამ რაიმე დაჭირდება, იქ სჯობია.

გიგლასგან რომ ვბრუნდებოდი, მისი ნაამბობი მაგონდებოდა და ღიმილი მერეოდა. ნ. ბ-სა კი მიკვირდა — ვერაფრით ვერ ვიფიქრებდი, თუ ასეთი გუზუსტი დახასიათება შეეძლო.

**გურამ ბათიაშვილი**

# ეფრაიმ გურის გზა

## გამორჩეული პიროვნება

ბატონ ეფრაიმ გურს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. გადაუჭარბებლად შემოიძლია განაცხადო, რომ მისი როლი სრულიად განსაკუთრებულია თანამედროვე ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში.

დიდი სიამოვნებით ვიხსენებ იმ დაუვიწყარ დღეებს ისრაელის მიწაზე, რომელიც ეფრაიმ გურის ძალისხმევით შედგა გასული საუკუნის 80-ან წლებში. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ჩვენს ქვეყნებს შორის არ იყო დიპლომატიური ურთიერთობა, ვიზიტი ძალზე შთაბეჭდავი და შედეგად იმის გამოდგა. მე მქონდა პატივი საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელით მიმემართა შესანიშნავი საზოგადოებისათვის... არაერთთან მაკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა. პირადად ჩემთვის და მრავალი ადამიანისათვის დიდად სასიხარულო იყო თბილისიდან ღვანლმოსილ ბ-ნ რაფიელ ელიგულაშვილთან ერთად გამგზავრება. მან მნიშვნელობა შესძინა ხსენებულ ვიზიტს. ეს იყო დიდი ადამიანური სიტბოთი აღვსილი შეხვედრები... რა დამავიწყებს მიღებებს ლეგენდარულ შიმონ პერესთან, ტედი კოლეკთან, სხვა ოფიციალურ პირებთან. შემდგომში სწორედ ეფრაიმ გურის მონდომებით ძალზე გააქტიურდა საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში. მრავალი მაგალითის მოხმობა შემოიძლია. ამის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიბეჭდა. ურთულეს წლებში ისრაელმა მეგობრული ხელი მრავალჯერ გამოუწოდა საქართველოს და ამ კეთილ ნამოწყებებს ბატონი ეფრაიმი ედგა სათავეში. დიდი მადლობა მას ამისთვის!

ყველას გვეამაყებოდა და გვეამაყება, რომ საქართველოში დაბადებულმა და აღზრდილმა ბ-მა ეფრაიმმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ისრაელის (და არამარტო ისრაელის) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას უყვარს საქართველო და ხშირად ჩაესმის მშობლიური წყალ-ჭალის ხმები... გული მიუწევს ბავშვობის ადგილებისკენ...

მივმართავ ჩემს მეგობარ ეფრაიმ გურს საუკეთესო სურვილებით!

**ვალერი ასათიანი**  
პროფესორი, საქ. კულტურის მინისტრი  
1985-1990. 1995-2000 წწ.



ეფრაიმ გური, ვალერი ასათიანი, იცხაკ შამირი, რაფიელ ელიგულაშვილი და იცხაკ დავიდი

რული ტვირთის შეგროვებაც და მისი ჩამოტანაც ბატონ ეფრაიმის იდეა, სურვილი და მონდომება იყო. მე დავხვდი ამ თვითმფრინავს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და სულ მალე მეგობრობა შეეფიცეთ ერთმანეთს და მიუხედავად ათასი ჭირ-ვარამისა, ჩვენი მეგობრობა ისე ჩაიკირა და ჩაცემენტდა, რომ მისი დანერგვა შეუძლებელია. თუ ამის უფლება მაქვს, ეფრაიმს ასე დავახასიათებდი: ფრიად განათლებული, უნიჭიერესი, მშვიდობისმოყვარე, ულალატო, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ებრაელი კაცი, რომელიც სიამაყით ამბობს, რომ ორი სახელმწიფოს — ისრაელის და საქართველოს უსაზღვროდ მადლიერია და მათი სიყვარული ყველგან დაჰყვება. მალე ჩვენი მეგობრობის სიმტკიცეს ძალა შემატა ლიკა ზონენაშვილმა. აი, ვის აჩუქა გამჩენმა ნიჭი, ჭკუა და სილამაზე. თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან მოკლე დროით. ლიკა ის მშვენიერება იყო, რომელიც ეფრაიმის და ჩვენი მეგობრობის გზას ანათებდა. ჩვენი 30 წლიანი მეგობრობის კონკრეტული ეპიზოდების მოყოლას არ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეფრაიმმა და ლიკამ ბევრჯერ დაგვიმტკიცეს თანადგომა, სიყვარული, სიტბო, მაშინაც როცა გვიღონდა და მაშინაც, როცა ჩვენი ყოფნა-არყოფნა ბენვზე ეკიდა.

ეფრაიმ, გვიანდა გისურვოთ წარმატება, ბევრი სიხარული, ბრძოლა სიკეთისა და გამარჯვებისათვის თქვენ დიდ ოჯახთან ერთად.

**ლრმა პატივისცემით,**  
**ციცინო და ჯემალ განსოკიძეები**

ამ დასახლებულთა შორის აღმოცენდა პირველი ლიდერი რომელმაც გაიგო ისრაელის დემოკრატიული წყობის არსი, შეიძლება გახდეს შენი კუთხის და ხალხის რჩეული ისრაელის პარლამენტში.

კულაშიდან ამოსული ახალგაზრდა რეპატრიანტი იწყებს აქტიურ მუშაობას პარტია ავოდას (მშრომელთა პარტია) რიგებში და სულ მალე აწვევია ათასობით საქართველოდან ამოსულ რეპატრიანტს მის რიგებში.

გამოირჩევა რა ებრაული ენის — ივრითის ცოდნით და სიტყვით გამოსვლის პათოსით და რიტორიკით, ყურადღებას იქცევს მშრომელთა პარტიის ლიდერის —

შიმონ პერესისა და მისი მფარველობით ღირსეულად ხდება პარლამენტის წევრი.

სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს ებრაელების ინტეგრაციის ალტერნატიულ ქვეყანაში, იმის შემდეგ რომ ამოსული სრული ენთუზიაზმით ჩაებნენ ისრაელის ქვეყნის შენებაში: ინდუსტრია, მეურნეობა, განათლება, ჯარი, რელიგია, ახლა მათ შორის პარლამენტის წევრი და ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ხდება.

ეფრაიმ გური საქართველოდან ამოსულ ებრაელთა მისაზამ მაგალითად იქცა ახალი თაობისათვის.

სწორედ აქედან იწყება საქართველოს ებრაელობის ისრაელის ქვეყანაში ადაპტაციის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი.

დღეს საქართველოდან ამოსულ ებრაელობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისრაელის ქვეყნის შენებაში, რომლის წინამორბედი გახლავთ ეფრაიმი გური — კულაშიდან ამოსული მოზარდი.

ეფრაიმ გური ჩემი თანამედროვეა და ჩვენ მრავალი საერთო იდეალი გვართიანებს ისრაელის ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სრული პატივისცემით ვულოცავ მას საიუბილეო დღეს — 65 წელს და ვუსურვებ კვლავაც შესძლოს თავისი წვლილი შეეტანოს საქართველოს ებრაელობის და ისრაელის ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**მენახემ ელაზარი**  
ჯონის პირველი წარმომადგენელი  
კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში

## ორი ერის ღირსეული შვილი

ეფრაიმთან ჩემი პირველი შეხვედრა საქართველოსთვის მეტად რთულ დროს მოხდა. სამინისტროს მინისტრად დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონი თითქმის მიწასთან გაასწორა. რამდენიმე დღეში თბილისის აეროპორტში დაეშვა ისრაელის სამხედრო თვითმფრინავი (ალბათ, პირველად თბილისის აეროპორტის ისტორიაში). ჰუმანიტა-

## მისგან იწყება

ვიხსენებ: მეოცე საუკუნის 70 იანი წლების დასაწყისი, 18 ქართველი ებრაელი ოჯახის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების თაობაზე, რომელსაც მოყვა დიდი ალია-რეპატრაცია.

ისრაელი, საქართველოდან ამოსული ებრაელების დასახლება პატარა საპორტო ქალაქ აშდოდში, სადაც თავი მოიყარა ამოსულთა მრავალფეროვნებამ: თბილისი, ქუთაისი, საჩხერე, კულაში, ახალციხე, ონი.

## ქნესეთის გზა ვინ გაკვალა?

ისრაელის უახლოესი წარსულისა და იქ მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მიერ გავლილი გზის მცოდნე ადამიანები, ალბათ, უმალ მიხვდებიან, ჩემს მიერ დასმული შეკითხვის არსს — ამ შეკითხვით რას და ვის ვგულისხმობ: ცხოვრების ყოველ სფეროში პირველი ადამი-



მოძღვარი იცხაკ რაბინი, პოლიტიკის გზაზე შემდგარი — ეფრაიმ გური



საქართველოს დამოუკიდებლობის მედროშე — ზვიად გამსახურდიასთან ერთად



პრემიერ-მინისტრ იცხაკ შამირთან საუბარი ყოველთვის საინტერესო გახლდათ







კაცს აღწევს, აღრიცხვაზეა აგრეთვე 250-მდე ბავშვი (16 წლამდე). ბევრს უჭირს, ჩვენ ვეხმარებით ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ ისე ვერა, როგორც ისინი საჭიროებენ, რადგან სამედიცინო პროგრამები შეიკვეცა, ხდება ბევრი სამედიცინო პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრა: მედიკამენტების შექენა, სამედიცინო კონსულტაციების განევა და ა.შ.

კორონავირუსის პანდემიამ, გასაგებია, პრობლემები შეგვიქმნა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვის გამო გაძნელებული იყო ცხელი სადილის სახლებში მიწოდება, სხვადასხვა სახის დახმარების განევა სამეურვეო პირთათვის და სხვ. მაგრამ, საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ქველმოქმედი ადამიანები, რომლებმაც აღმოგვიჩინეს დახმარება, გამოგვიყვეს თანხები მომვლელი ქალბატონების ტაქსით მომსახურების დასაფინანსებლად.

ამის შესახებ „ჯოინთის“ ხელმძღვანელი, ბატონი ზოჰარ დავიდი აღნიშნავდა გაზეთ „მენორას“ ფურცლებზე (2020 წლის სექტემბრის ნომერი 470, გვ. 6). მანვე აღნიშნა, რომ „პროგრამები, რომლებიც ადამიანთა თავშეყრას ითვალისწინებს, ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა და ველით შეზღუდვების მორიგ შემსუბუქებებს ებრაული სახლის სრული

დატვირთვით ასამუშავებლად... სადაც შესაძლებელია დისტანციურად მუშაობა, ვაგრძელებთ აქტივობებს, ხოლო სადაც ეს არ ხერხდება, მათი დროებით შეჩერება მოგვინია“. „დღის ცენტრი“ და პროგრამა „კლუბიც“ ონლაინრეჟიმში მუშაობენ — დისტანციურად.

**— როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოსთან, როგორც მშობელ ქვეყანასთან და ისრაელთან - ისტორიულ სამშობლოსთან? თქვენი ქალიშვილი თავის მეუღლესთან და ქალვაჟთან ერთად ისრაელში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ხოლო თქვენ მეუღლესთან ერთად, თქვენი ვაჟი მეუღლესთან და 3 თვის გოგონასთან ერთად თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს.**

- ბუნებრივია, მთელი გულითა და გზებით მიყვარს ჩემი მშობელი ქვეყანა - საქართველო, სადაც დავიბადე, გავიზარდე, სადაც ჩემი მშობლების, ნინაპრების, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების საფლავეებია... ჩვენ შემიყვინებოდა ქართველები ვართ, ხოლო რწმენით - იუდეველები.

ასევე ძალიან მიყვარს ჩემი ისტორიული სამშობლო - ისრაელი, მსოფლიოს ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უძლიერესი, მაღალგანვითარებული, აყვავებული ქვეყანა. ვამაყობ ერეც-ისრაელით,

მისი ინოვაციებით, ტექნოლოგიებით, მედიცინის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების დონით, პროგრამა „კვების“ დირექტორმა, ქ-ნმა პოლინა კრასიკმალაკონურად და ხატონად თქვა: „Резав Михайлович – душа Хэсада!“ ეს ჭეშმარიტებაა! ხოლო შესანიშნავი ფიზიკოსი და პოეტი ლუდმილა კრასილნიკოვა თავის მშვენიერ ლექსში წერდა:

„Резо – отец, Полина – мать,  
А как иначе Вас называть?  
Хэсад нам как дом родной,  
Здесь каждый свой, а не чужой“.

ებრაული სახლის თანამშრომლები, ვოლონტიორები, სამეურვეო პირები - ყველანი ერთხმად აღნიშნავენ ბატონი რეზის გულის სითბოს, ადამიანებისადმი დიდი სიყვარულის უნარს, აფასებენ მის სიკეთეს და ზრუნვას, ბრწყინვალე ორგანიზატორულ ნიჭს, ცენტრის საოცარ თანადგომას, სწორ, შესანიშნავ საკადრო პოლიტიკას, რაც ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, შეინარჩუნონ ადამიანური ღირსება. ადამიანი კუნძული როდია, ცალკე გარეყული. დროულად ნათქვამი იმედიანი სიტყვაც კი, მეგობრული თანადგომა, თუნდაც ნამიერი ღიმილი ძვირფასია, ზოგჯერ-გადამრჩევნიც!

**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიაკაძე**

## უ დ ი დ ე ს ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი

**როზარტ აჯიაშვილი**

სულ მალე ისრაელში, ხაიფისა და ჩრდილოეთ ოლქის ერთ-ერთ ქალაქში, გარე სივრცეში დაიდგმება ქალაქისთვის ნაჩუქარი, ქუთაისში დამზადებული და გამოგზავნილი, ისრაელში ამოსული ებრაელი თემისთვის საამაყო და უძვირფასესი, გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის ბიუსტი!

მოგეხსენებათ, რვა საუკუნის წინათ, დიდმა შოთამ, თავისი ნებით აირჩია და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ნაკურთხ წმინდა მინაზე! ბიუსტის გამოგზავნი: გახლავთ ებრაელი ერის დიდი მეგობარი, ქუთაისის საპატრიო მოქალაქე, მაჟორიტარი დეპუტატი, ქალაქის საკრებულოს წევრი, ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის, საოჯახო მედიცინის ცენტრის დირექტორი, საქ. მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი მერაბ კვიციანიძე!

ბიუსტის მიმღები: ქალაქის მერია, სადაც დაიდგმება შოთა რუსთაველის ბიუსტი და ბ-ნ მერაბ კვიციანიძის დიდი მეგობარი, ბიუსტის მოპირკეთების დამუშავების და მონტაჟის მოთავე, ხაიფისა და ჩრდილოეთ ოლქის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კულტურისა და ხელოვნების საზოგადოება "ნერგის" თავმჯდომარე, 35 წლის მანძილზე ქ. ბიალიკის კულტურის და აბსორბციის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, ქორეოგრაფი, ბ-ნი შოთა წვენიაშვილი!



ბ-ნ მერაბ კვიციანიძისგან, გამოგზავნილი ამგვარი საჩუქარი, რომელიც რკინა ბეტონის ყალიბშია ჩამოსხმული, იწონის 370 კგრ, მისი სიმაღლე 1მ. და 5 სმ-ია, სიგანე-97 სმ. მოქანდაკე ასლან მუშკუდიანი!

ბ-ნ მერაბს, უამრავი ქველმოქმედების გარდა, მის ცხოვრებას ამშვენებს და ალამაზებს კეთილშობილური ტრადიციები და უამრავი ადამიანური თვისებები: ებრაელთა საფლავეების მოვლა, საკუთარ სამედიცინო კლინიკაში ჩვენი თემის მოხუცებისა და ავადმყოფების უფასოდ მიღება, დახმარება, მკურნალობა და სხვა.

ამიტომაცაა, ამ დიდებული შესახედავი მაღალი, წარმოსადექი ჩვენი ქუთაისელი მეგობრის მიმართ, თვალნი ვერ ძღებან, მისი ცქერით, ბაგენი მისი ლოცვით, გული მისდამი კეთილი სურვილებით!

ბ-ნ მერაბ კვიციანიძის ცხოვრება და შემოქმედება მოიცავს, უმდიდრეს და უამრავ, კეთილ ნიშან თვისებას! მასში უზომო და უჩვეულო სიყვარულია ებრაელი ერის მიმართ, ზომიერებითა და მორიდების გრძნობით გაჯერებული, სიყვარულისა და პატივისცემის მუხტით დატვირთული!

მე, როგორც "გულთა კავშირის" არჩეული პრეზიდენტი, ჩემი მეგობრების, თანამოაზრეების და ისრაელის პატარა საქართველოს სახელით ბ-ნ მერაბს, ამ დიდი უანგარო დიდებული საჩუქრისთვის,

ვის, მაძლობას მოვასხენებ, თუმცა, შეგნებული მაქვს, რომ მაძლობა ძალზე პატარა, არასაკმარისი სიტყვა იქნება, ასეთი დიდი სიყვარულისთვის.

და ბოლოს:

ბ-ნი შოთა, ისრაელის "გულთა კავშირის" აქტიური, საპატრიო წევრი და გაერთიანების ერთ ერთი ნამყვანი ლერძია!

ბ-ნი მერაბი კი, "გულთა კავშირის" ქუთაისის გაერთიანების ხელმძღვანელი!

პირველი — ხმელთა ზღვისპირელი, მეორე კი — რიონისპირელია, მაგრამ ორივე, ტოლფარდოვნად ჩვენი მშობლიური საქართველოს ღვიძლი, სახელოვანი მამულიშვილები არიან!

ლ ე ხ ა ი მ მ ე რ ა ბ !  
ლ ე ხ ა ი მ შ ო თ ა !



64 წლის ასაკში გამოგვაკლდა ბრწყინვალე მამულიშვილი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ისრაელის გმირი, ისრაელის უსაფრთხოების სამსახურის "შაბაკის" ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე, ბატონი იცხაკ ილანის (ავთანდილ წინუაშვილი). ერთხელ, ჩემთვის დიდი ავტორიტეტის მქონე ისრაელელ მეგობარს, რომელიც გარკვეული პერიოდი ბატონი იცხაკის ხელმძღვანელი იყო, ვკითხე, როგორ დაახადიათებდა იცხაკს. მიპასუხა: "ჩააგდე ნემსი ოკეანეში, აქებინე ყველას, მაგრამ ბოლოს მხოლოდ იცხაკი იპოვის".

მაისში თავის მშობლიურ საქართველოს ჩაუწერა ვიდეო. მისი ბოლო სამეცნიერო სამუშაოც საქართველოსთან იყო დაკავშირებული, როცა საქართველოში ერთ-ერთ სადოქტორო შრომას უხელმძღვანელა და დაცვაზეც ვიდეო ზარით თავად წარდგა...

მშვიდობით ისრაელის გმირი და საამაყო ქართველო ებრაელო! უმაღლესო პატრიოტო პროფესიონალო და კარგო, კეთილო ადამიანო!

**ლავა შვანია**

**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში**

გაზეთ „მენორას“ რედაქცია უერთდება მსოფლიოს ქართველ ებრაელთა და ისრაელის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მწუხარებას ისრაელის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოსდგილის, ისრაელის გმირის იცხაკ ილანის — ავთანდილ წინუაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

დაგუჟანგაქილი და

გამომცემილი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>,

ტელეფონები: 299.90.96



EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

მიმართ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070

411.16  
8-557



9771987898003